



შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია“

ქ. თბილისში, აეროპორტის გზის მარცხენა მხარეს არსებული 5500მ³ ტევადობის ნავთობბაზის
20 000 ტონა წლიური ტვირთბრუნვის გაზრდა 60 000 ტ წლიურ ტვირთბრუნვამდე

არატექნიკური რეზიუმე

მომზადებულია: შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების
საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრი-ეკომეტრი“-ს მიერ

დირექტორი: თინათინ ჟიჟიაშვილი

ქ. თბილისი, 2021 წელი

1. შესავალი

შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია“, რომელიც წარმოდგენილია გალფ ავიაციის სახით, წარმოადგენს საავიაციო საწვავის მიწოდებელ კომპანიას, რომელმაც პირველმა ააშენა ულტრა თანამედროვე საავიაციო საწვავის ტერმინალი და თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დანერგა უნიკალური ჰიდრანტის სისტემა, რომელიც ერთადერთია საქართველოში.

საავიაციო საწვავის შემოტანა ხდება სხვადასხვა ქვეყნებიდან, რომლის საქართველოში ტრანსპორტირებაც ხორციელდება გემით ან სარკინიგზო მაგისტრალით. საწვავის გემით ტრანსპორტირების შემდეგ, პროდუქტი იტვირთება ფოთის პორტის ნავთობის ტერმინალში, რომელიც ასევე კომპანიის საკუთრებაშია და საბოლოოდ საავიაციო ნავთი ნაწილდება და მიეწოდება თვითმფრინავებს საქართველოს სხვადასხვა აეროპორტებში. წინამდებარე სკრინინგის ანგარიშით გათვალისწინებულ ტერმინალზე საწვავის შემოტანა ხდება სარკინიგზო მაგისტრალის მეშვეობით.

შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია“ ემსახურება ისეთ ავიაკომპანიებს როგორცაა: თურქეთის ავიახაზები, პეგასუსი, საქართველოს ავიახაზები, ეარ ფრანსი, პოლონეთის ავიახაზები, აეროფლოტი, უკრაინის ავიახაზები და სხვა.

გარდა ამისა, გალფ ავიაცია უზრუნველყოფს საავიაციო საწვავით მომსახურებას საქართველოს მასშტაბით 10 ლოკაციაზე, თუმცა ძირითადი მომსახურების არეალია თბილისის და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტები.

საავიაციო საწვავის მიწოდების ლოკაციები მოიცავს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტს, ნატახტარის აეროდრომს, მესტიის საერთაშორისო აეროპორტს, ასევე ბარისახოს, ყვარელის და თელავის აეროდრომებს.

წინამდებარე გზშ ანგარიშის განხილვის საგანს წარმოადგენს ქ. თბილისში, აეროპორტის გზის მარცხენა მხარეს არსებული ნავთობის ტერმინალი, რომელიც ფუნქციონირებს 2008 წლიდან და გააჩნია შესაბამისი გარემოზე ზემოქმედების ნებართვა (ნებართვა #000276; 21.08.2017) და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნა #33; 10.03.09).

აღნიშნული ნებართვები გაცემული იქნა ჯერ შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიაზე“, რომელიც შემდგომ გადაეცა შპს „ეარ ვისოლს“. თავის მხრივ, შპს „ეარ ვისოლმა“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 31 ოქტომბრის #B18181513/3 გადაწყვეტილების საფუძველზე შეიცვალა საფირმო სახელწოდება და გახდა შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია“.

ამ ეტაპზე, აღნიშნული ობიექტის ფუნქციონირებისთვის, კერძოდ კი, წელიწადში 20 000 ტონა საწვავის ტვირთბრუნვის საქმიანობაზე შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია“- ს საქართველოს გარემოს

დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 21 იანვრის #2-49 ბრძანებით მიღებული აქვს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ამ ეტაპზე, კომპანიის გათვლებით და ბაზარზე არსებული მოთხოვნებიდან გამომდინარე, წელიწადში 20 000 ტონა საწვავის ნაცვლად, კომპანიამ უახლოესი 5 წლის პერსპექტივაში შესაძლებელია მიიღოს და გასცეს წელიწადში 60 000 ტონა საწვავი.

საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის, მე-12 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული საქმიანობა შესაძლებელია განხილული იქნეს როგორც საწარმოს წარმადობის ზრდა, ხოლო, ამავე პუნქტის შესაბამისად, საწარმოს წარმადობის ზრდა წარმოადგენს სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და ასევე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 8 ოქტომბრის #9857/01 წერილის მოთხოვნის შესაბამისად, მომზადებული იქნა სკრინინგის ანგარიში, რის საფუძველზეც, საქმიანობა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 29 ივნისის #2-540 ბრძანების შესაბამისად დაექვემდებარა გზშ ანგარიშის მომზადებას, რომელსაც წინ უძღვოდა სკოპინგის პროცედურა, რაზედაც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 19 ოქტომბრის #2-925 ბრძანებით გაიცა სკოპინგის დასკვნა #81 (06.10.2020).

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის შესაბამისად მომზადებულ იქნა წინამდებარე გზშ-ს ანგარიში, რომელიც ამავე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად გარდა სხვა საჭირო საკითხებისა ასევე მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

დაგეგმილი საქმიანობის აღწერას, კერძოდ:

- საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერას, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად), აგრეთვე დაგეგმილი საქმიანობისთვის გარემოს არსებული მდგომარეობის აღწერას;
- ინფორმაციას მიწის კატეგორიისა და მიწათსარგებლობის ფორმის შესახებ;
- ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების (სიმძლავრე, მასშტაბი და საწარმოო პროცესი) შესახებ;
- ინფორმაციას ექსპლუატაციის ეტაპებზე შესაძლო უარყოფითი შედეგების და ემისიების (როგორებიცაა წყლის, ჰაერის, მიწის და წიაღისეულის დაბინძურება, ხმაური, ვიბრაცია, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, სითბური გამოსხივება, რადიაცია) შესახებ;

- ინფორმაციას იმ ნარჩენების სახეების, მახასიათებლებისა და რაოდენობის შესახებ, რომლებიც წარმოიქმნება ექსპლუატაციის ეტაპზე, აგრეთვე, ნარჩენების მართვის სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ დამატებით ინფორმაციას;
- ინფორმაციას გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის შესახებ, რომელიც გულისხმობს საქმიანობის განხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას, რომლის შეფასებაც შესაძლებელია არსებული ინფორმაციის გამოყენებით და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით;
- ინფორმაციას საქმიანობის განხორციელებით გარემოზე შესაძლო მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესახებ;
- ინფორმაციას საქმიანობის განხორციელებით შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი, კუმულაციური, ტრანსსასაზღვრო, მოკლევადიანი და გრძელვადიანი, პოზიტიური და ნეგატიური ზემოქმედების შესახებ;
- ინფორმაციას საქმიანობით გამოწვეული შესაძლო ინციდენტების განსაზღვრისა და მათი შედეგების შეფასების შესახებ, მათ შორის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების სამოქმედო გეგმას;
- ინფორმაციას საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ამ საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს მდგომარეობის აღდგენის საშუალებების შესახებ;
- საქმიანობით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერას, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკის მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;
- სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასებას;
- ინფორმაციას კვლევების მეთოდოლოგიის და გარემოს შესახებ ინფორმაციის წყაროების თაობაზე;

ამასთან, წინამდებარე გზშ ანგარიში მოიცავს სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ცნობები საწარმოს და გზშ ანგარიშის მომამზადებელი კომპანიის შესახებ მოცემულია ცხრილში #1.

საქმიანობის განმახორციელებელი	შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია“
კომპანიის იურიდიული მისამართი	საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, N34, სართული 6
კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერი	405208216
კომპანიის ხელმძღვანელი	არჩილ ხელაშვილი
გარემოსდაცვითი მმართველი	ნიკოლოზ დოროყაშვილი
საქმიანობის სახე	ნავთობპროდუქტების ბაზა
საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა	ქ. თბილისი, აეროპორტის გზის მარცხენა მხარე
საკონსულტაციო კომპანიის დასახელება	შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრი-ეკომეტრი“
ხელმძღვანელი და საკონტაქტო ინფორმაცია	თინათინ ჟიჟიაშვილი ტელ: 577 38 01 13; E-mail: esec.ecometer@gmail.com
მისამართი	0177, საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანიშვილების ქუჩა #16

2. ობიექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების საჭიროების დასაბუთება

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს საწარმოს ტვირთბრუნვის გაზრდას, 20 000 ტონიდან 60 000 ტონა ტვირთბრუნვამდე წელიწადში.

ნავთობტერმინალის ტერიტორიაზე განთავსებული რეზერვუარების მოცულობების შეცვლა, ახალი რეზერვუარების დამატება ან/და ტექნოლოგიური პროცესის ცვლილება დაგეგმილი არ არის და არსებული რეზერვუარების საერთო მოცულობა შეადგენს 5500მ³-ს.

საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ გაიზარდა საავიაციო ბაზარზე მოთხოვნა, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო საავიაციო საწვავზე მოთხოვნის გაზრდას. გამომდინარე აქედან და იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია საავიაციო საწვავით ემსახურება აეროპორტს, საჭირო გახდა ნავთობბაზის წლიური ტვირთბრუნვას გაზრდა, რაც იმას ნიშნავს, რომ წელიწადში 20 000 ტონა საწვავის ნაცვლად, კომპანიამ უახლოესი 5 წლის პერსპექტივაში შესაძლებელია მიიღოს და გასცეს წელიწადში 60 000 ტონა საწვავი.

საწარმოს ტვირთბრუნვის ზრდა არ გამოიწვევს საწარმოს ინფრასტრუქტურულ ცვლილებებს, აღნიშნული ზრდა განხორციელდება საწვავის შემოტანის სიხშირის ზრდის ხარჯზე.

3. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ

3.1 საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა, GIS კოორდინატები

შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია“-ს ნავთობპროდუქტების ბაზა მდებარეობს ქ. თბილისში, აეროპორტის გზის მარცხენა მხარეს.

მიწის ნაკვეთი, სადაც განთავსებულია ნავთობპროდუქტების რეზერვუარები შესაბამისი ინფრასტრუქტურით, წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას, რომლის საკადასტრო კოდია: 01.19.26.002/038. მიწა წარმოადგენს შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია“-ს საკუთრებას.

ნავთობ პროდუქტების ბაზა მიწისქვეშა მილგაყვანილობით, ჰიდრანტული სისტემით არის დაკავშირებული თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან. ბაზიდან აეროპორტამდე დამაკავშირებელი მილების საერთო სიგრძე შეადგენს 2000 მეტრს. მიწისქვეშა ჰიდრანტები განლაგებულია შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, რომელიც კომპანიას იჯარით აქვს აღებული 2045 წლამდე. გარდა ამისა, შესაბამისი ქსელი 21 ჭით მოწყობილია აეროპორტის ტერიტორიაზე, რომლის ოპერირებასაც 24 საათის განმავლობაში ახორციელებს შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია“-ს ტექნიკური პერსონალი, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი სერტიფიცირება. როგორც საწარმოს, ასევე აეროპორტის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების მიღება-გაცემისა და ჩასხმის პროცესი უზრუნველყოფილია დახურული მიერთებებითა და სისტემებით.

ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორია ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან დაშორებულია 250 მ მანძილით.

საწარმოს საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი პუნქტი, დაშორებულია დაახლოებით 800 მ მანძილით.

საპროექტო ტერიტორიის ეზო მოასფალტებულია, თავისუფალია მცენარეული საფარისაგან და შესაბამისად პროექტის ზემოქმედება მცენარეულ საფარზე არ ვრცელდება. გარდა ამისა, ობიექტის სპეციფიკიდან და სახანძრო უსაფრთხოების დადგენილი წესებიდან გამომდინარე, ასეთი ობიექტების ტერიტორიაზე ხე-მცენარეების დარგვა აკრძალულია.

საწარმოს ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. პროექტით გათვალისწინებული ტვირთბრუნვის ზრდა არ ითვალისწინებს ინფრასტრუქტურულ ცვლილებას, ახალი მისასვლელი გზების მოწყობას და სხვა.

ნავთობბაზის მიწის ნაკვეთის სრული ტერიტორიის GPS კოორდინატები წარმოდგენილია სიტუაციურ რუკაზე (სურ.3.1).



სურ. 3.1 - საპროექტო ტერიტორიის სიტუაციური რუკა

3.2 საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტების და ასევე ტექნოლოგიური დანადგარების აღწერა

საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია სარკინიგზო ლიანდაგი, საიდანაც ხდება საწარმოს ტერიტორიაზე ვაგონ-ცისტერნების შემოსვლა. ლიანდაგთან მოწყობილია შესაბამისი ესტაკადა საწვავის მიღებისთვის აღჭურვილი საჭირო შესაბამისი კომპონენტებით.

ობიექტის ტერიტორიაზე განთავსებულია საწვავის მიღებისთვის და გაცემისთვის განკუთვნილი 7 სხვადასხვა ზომის რეზერვუარი;

საწარმოს ტერიტორია ასევე მოიცავს ისეთ დამატებით ინფრასტრუქტურულ ობიექტებს როგორცაა: ადმინისტრაციული შენობა; საოპერატორო ოთახი; ხანძარსაწინააღმდეგო სატუმბო სადგური; ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულების უბნები; ავტოგზა; რეზერვუარების შესავსები მიმღები სატუმბო სადგური წარმადობით: #1 ტუმბო - 50მ3/სთ (სარეზერვო), #2 ტუმბო - 70მ3/სთ, #3 ტუმბო - 70მ3/სთ და #4 ტუმბო - 50მ3/სთ (სარეზერვო); ავტოცისტერნებში გასაცემი კუნძული; თვითფრინავების გასამართი ჰიდრანტის სისტემის სატუმბო სადგური, წარმადობით: #1 ტუმბო - 160მ3/სთ, #2 ტუმბო - 160მ3/სთ და #3 ტუმბო - 70მ3/სთ; სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების განთავსების უბნები; სასაწყობო ოთახი; ტექნიკური წყლისთვის განკუთვნილი 12 ცალი სამარაგო რეზერვუარი; მიწისქვეშა წყლის ჭაბურღილი; ნავთობდამჭერი სეპარატორები და ნავთობიანი, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა.

3.3 საწარმოს ტექნოლოგიური ციკლის დეტალური აღწერა, სიმძლავრე და მასშტაბი

შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯია“-ს ნავთობპროდუქტების ტერმინალზე შესაძლებელია ორი, **TS 1** და **JET A-1** ტიპის საავიაციო საწვავის მიღება, რადგან აღნიშნულ ტერმინალში არის ორი განცალკევებული ხაზი, როგორც საწვავის მიღებისთვის, ასევე შენახვისა და გაცემისთვის. შესაბამისად, არ არსებობს საწვავების შერევის რისკი.

წლის განმავლობაში დაგეგმილია 60 000 ტონა ნავთობპროდუქტის შემოტანა და გაცემა.

TS 1 ტიპის საწვავის შემოტანა ხდება ძირითადად თურქმენეთის, აზერბაიჯანის და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქვეყნებიდან, ხოლო **JET A-1** ტიპის საწვავის შემოტანა ხდება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან.

ტერმინალზე საწვავის მიღება წარმოებს სარკინიგზო ცისტერნებით. ტერმინალის ტერიტორიაზე ვაგონ-ცისტერნების შემოსვლის შემდეგ ხდება შესაბამისი დამლის მთლიანობის შემოწმება. დამლების მთლიანობის დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ხდება ხელმძღვანელობისთვის შეტყობინება.

იმ შემთხვევაში, თუ დამლები მთელია ხდება ვაგონ-ცისტერნების დაყოვნება, რათა მოხდეს საწვავის „დაჯდომა“. ამის შემდეგ ყოველი ვაგონ-ცისტერნიდან ხდება სინჯის ამოღება. სინჯის ამოღება მიმდინარეობს რამოდენიმე დონიდან, რათა მოხდეს ვაგონში არსებული საწვავის ყველა დონის შემოწმება.

საწვავის სინჯები გადადის ტერმინალზე არსებულ, აკრედიტებულ ლაბორატორიაში, სადაც ხდება სხვადასხვა პარამეტრების შემოწმება, ესენია:

1. წყლის შემცველობის კონტროლი - რომელიც ტარდება სპეციალური წყლის არსებობის განმსაზღვრელი პასტისა და „SHELL WATER DETECTOR“-ის საშუალებით;
2. საწვავის ვიზუალური შემოწმება, მექანიკურ მინარევებსა და ფერზე, ე.წ. Clear and bright ტესტის მეშვეობით;
3. საწვავის შესაბამისი კუთრი წონის განსაზღვრა.

გარდა ხარისხის კონტროლისა, ლაბორატორიაში ასევე ხდება მწარმოებლისგან მიღებულ საბუთებთან შედარება. თუ კი პარამეტრები შეესაბამება სტანდარტებს, მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ვაგონ-ცისტერნების აზომვა და დაცლა.

გარდა ამისა, საწვავის დაცლამდე, ხდება ტერმინალის შესაბამისი სამსახურების ინფორმირება, იმის შესახებ რომ მიმდინარეობს საწვავის მიღება. საწვავის მიღების დროს, ტერიტორიაზე დასაშვებია მხოლოდ საწვავის მიღება-დაცლაზე პასუხისმგებელი პერსონალის დაშვება, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ეკიპირებით, გააჩნია უსაფრთხოების წესების მართვის შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება და მობილიზებული აქვს ცეცხლმაქრი სისტემები.

საწვავის მიღება ხდება შესაბამის რეზერვუარში, რომელიც საწვავის მიღების მომენტისთვის იმავდროულად არ წარმოადგენს საწვავის გამცემ რეზერვუარს. საწვავის მიღების შემდეგ ხდება საწვავის დაყოვნება სტანდარტის შესაბამისად. კომპანიის შიდა მოთხოვნის შესაბამისად ის შეადგენს ყოველ 1 მეტრზე მინიმუმ 4 საათს.

დაყოვნების შემდეგ ხდება შესაბამისი რეზერვუარიდან სინჯის აღება რამოდენიმე დონიდან, რათა მოხდეს რეზერვუარში არსებული საწვავის ყველა დონის შემოწმება. სინჯი გადაეცემა ლაბორატორიას და ხდება საწვავის პასპორტის შედგენა, რომელიც შეიცავს საწვავის ძირითად მახასიათებლებს. ლაბორატორიიდან მიღებული პასუხის შემდეგ ხდება საწვავის გაცემის გადაწყვეტილების მიღება.

ლაბორატორიული სინჯების აღებას აწარმოებს გამოცდილი და კომპეტენტური პერსონალი, შესაბამისი აპარატურით და პროცედურების დაცვით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს გარანტია, რომ სინჯი ნამდვილად იმ საწვავს ეკუთვნის, საიდანაც ის იქნა აღებული.

სარკინიგზო ესტაკადიდან რეზერვუარებამდე მოწყობილია შესაბამისი მილსადენი, რომლის მეშვეობითაც გადადის ნავთობი რეზერვუარებში. ყველა რეზერვუარს გააჩნია გადავსების საწინააღმდეგო სასიგნალო მოწყობილობა.

ლაბორატორიული შემოწმებების გავლის შემდეგ, ტერიტორიაზე დამონტაჟებული საქაჩი სადგური, უზრუნველყოფს საავიაციო ნავთის აეროპორტის ტერიტორიაზე გადაცემას.

როგორც უკვე აღინიშნა ობიექტის ტერიტორიაზე ასევე მოწყობილია ავტოცისტერნებში გასაცემი კუნძული, რომელიც აღჭურვილია საავიაციო ნავთის შესავსებად სპეციალური შემაერთებლით (ბუნიკი).

კუნძულზე მოწყობილია გასაცემი ტუმბო, წარმადობით 50მ³/სთ-ში, რომელიც მიერთებულია სატუმბოში მიმავალ მილსადენებს, ავტოსავალ ნაწილზე მიწისქვეშა შესრულებით. აღრიცხვიანობა ხორციელდება მექანიკურ დგართან მოწყობილი მრიცხველებით.

3.4 საკომპრესორო-სატუმბი სადგურის აღწერა

საწარმო ობიექტის ტერიტორია აღჭურვილია რეზერვუარების შესავსები სატუმბო სადგურით, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი წარმადობის მქონე ტუმბოებით, როგორცაა: #1 ტუმბო - 50მ³/სთ (სარეზერვო), #2 ტუმბო - 70მ³/სთ, #3 ტუმბო - 70მ³/სთ და #4 ტუმბო - 50მ³/სთ (სარეზერვო); ავტოცისტერნებში გასაცემი კუნძული; თვითფრინავების გასამართი ჰიდრანტის სისტემის სატუმბო სადგური, წარმადობით: #1 ტუმბო - 160მ³/სთ, #2 ტუმბო - 160მ³/სთ და #3 ტუმბო - 70მ³/სთ.

3.5 სარეზერვუარო პარკის დეტალური აღწერა, რეზერვუარების ტიპები და მოცულობა

3.5.1 საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის #65 დადგენილებით დამტკიცებული „ნავთობის ბაზების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია

ობიექტის სარეზერვუარო პარკი მოიცავს 7 სხვადასხვა პარამეტრის მქონე რეზერვუარს, რომელიც მოწყობილია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის #65 დადგენილებით დამტკიცებული ნავთობის ბაზების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, ჯგუფების მიხედვით.

ამას გარდა, ნავთობის ბაზის თანამშრომლები იცავენ ზემოაღნიშნული რეგლამენტის და საწარმოო ინსტრუქციების მოთხოვნებს კომპეტენციების შესაბამისად.

ნავთობის ბაზის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს რეგლამენტის და ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტების მოთხოვნათა დაცვას.

ობიექტზე დასაქმებული პერსონალი სამუშაოზე დაშვებამდე გადის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ინსტრუქტაჟს და შესაბამის სწავლებას.


ნავთობის ბაზის ტერიტორიის ნორმალური ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად მუდმივად გამართულ მდგომარეობაში იმყოფება წყალარინების სისტემები, სახანძრო ჰიდრანტთან მისასვლელელები, წყლის რეზერვუარები, ხანძარქრობის სისტემები. სარეზერვუარო პარკის ტერიტორია შემოზვინულია, ობიექტის ტერიტორია შემოღობილია სრულ პერიმეტრზე და ასევე საწარმო უზრუნველყოფილია შესაბამისი გამწმენდი ნაგებობით.

ამასთან ობიექტის ტერიტორია აღჭურვილია აამკრძალავი, მაფრთხილებელი და მაჩვენებელი ნიშნებით.

3.5.2 რეზერვუარი #1

რეზერვუარის ნომინალური მოცულობა არის 1000მ³. რეზერვუარის სიმაღლე - 11 910 მმ; რეზერვუარის დიამეტრი - 10 431მმ; განთავსების ფორმა - მიწისზედა. რეზერვუარი არის ვერტიკალური ცილინდრული ფორმის და გააჩნია თვითმზიდი, კონუსური ფორმის სახურავი და ლითონკარკასის, შახტური ტიპის კიბე. რეზერვუარი ექსპლოატაციაშია 2007 წლიდან. მისი


კედლები, ძირი და სახურავი დამზადებულია დაბალ ნახშირბადოვანი ფოლადის ფურცლებისაგან. რეზერვუარს გააჩნია მემბრანული სასუნთქი სარქველი (НДКМ 150). აღნიშნული რეზერვუარის, როგორც შიდა (კედლები, ძირი, სახურავი) ისე გარე ზედაპირი (კედლები, სახურავი) დაცულია ორ კომპონენტური ანტიკოროზიული საღებავით. შესანახი ნავთობპროდუქტის სახეობა - თეთრი ნავთობპროდუქტი, **TS 1**.



სურ. 3.5.2 - #1 რეზერვუარის სქემა

3.5.3 რეზერვუარი #2


რეზერვუარის ნომინალური მოცულობა არის 1000მ³. რეზერვუარის სიმაღლე - 11 910 მმ; რეზერვუარის დიამეტრი - 10 445მმ; განთავსების ფორმა - მიწისზედა. რეზერვუარი არის ვერტიკალური ცილინდრული ფორმის და გააჩნია თვითმზიდი, კონუსური ფორმის სახურავი და გადასასვლელი ხიდურა კიბე. რეზერვუარი ექსპლოატაციაშია 2007 წლიდან. მისი კედლები, ძირი და სახურავი დამზადებულია დაბალ ნახშირბადოვანი ფოლადის ფურცლებისაგან. რეზერვუარს გააჩნია მემბრანული სასუნთქი სარქველი (НДКМ 150). აღნიშნული რეზერვუარის, როგორც შიდა (კედლები, ძირი, სახურავი) ისე გარე ზედაპირი (კედლები, სახურავი) დაცულია ორ კომპონენტური ანტიკოროზიული საღებავით. შესანახი ნავთობპროდუქტის სახეობა - თეთრი ნავთობპროდუქტი, **TS 1**.



სურ. 3.5.3 - #2 რეზერვუარის სქემა

3.5.4 რეზერვუარი #3


რეზერვუარის ნომინალური მოცულობა არის 1000 მ³. რეზერვუარის სიმაღლე - 11 910 მმ; რეზერვუარის დიამეტრი - 10 434 მმ; განთავსების ფორმა - მიწისზედა. რეზერვუარი არის ვერტიკალური ცილინდრული ფორმის და გააჩნია თვითმზიდი, კონუსური ფორმის სახურავი და ლითონკარკასის, შახტური ტიპის კიბე. რეზერვუარი ექსპლოატაციაშია 2007 წლიდან. მისი კედლები, ძირი და სახურავი დამზადებულია დაბალ ნახშირბადოვანი ფოლადის ფურცლებისაგან. რეზერვუარს გააჩნია მემბრანული სასუნთქი სარქველი (НДКМ 150). აღნიშნული რეზერვუარის, როგორც შიდა (კედლები, ძირი, სახურავი) ისე გარე ზედაპირი (კედლები, სახურავი) დაცულია ორ კომპონენტური ანტიკოროზიული საღებავით. შესანახი ნავთობპროდუქტის სახეობა - თეთრი ნავთობპროდუქტი, TS 1.



სურ. 3.5.4 - #3 რეზერვუარის სქემა

3.5.5 რეზერვუარი #4

რეზერვუარის ნომინალური მოცულობა არის 100მ³. რეზერვუარის სიმაღლე - 5 960 მმ; რეზერვუარის დიამეტრი - 4 728.1 მმ; განთავსების ფორმა - მიწისზედა. რეზერვუარი არის ვერტიკალური ცილინდრული ფორმის და გააჩნია თვითმზიდი, კონუსური ფორმის სახურავი. ასასვლელი კიბე არ აქვს. რეზერვუარი ექსპლოატაციაშია 2007 წლიდან. მისი კედლები, ძირი და სახურავი დამზადებულია დაბალ ნახშირბადოვანი ფოლადის ფურცლებისაგან. რეზერვუარს გააჩნია სასუნთქი სარქველი (KDC - 1500). აღნიშნული რეზერვუარის, როგორც შიდა (კედლები, ძირი, სახურავი) ისე გარე ზედაპირი (კედლები, სახურავი) დაცულია ორ კომპონენტანი ანტიკოროზიული საღებავით. შესანახი ნავთობპროდუქტის სახეობა - თეთრი ნავთობპროდუქტი, **TS 1.**




სურ. 3.5.5 - #4 რეზერვუარის სქემა

3.5.6 რეზერვუარი #5

რეზერვუარის ნომინალური მოცულობა არის 200მ³. რეზერვუარის სიმაღლე - 5 770 მმ; რეზერვუარის დიამეტრი - 6 621.8 მმ; განთავსების ფორმა - მიწისზედა. რეზერვუარი არის ვერტიკალური ცილინდრული ფორმის და გააჩნია თვითმზიდი, კონუსური ფორმის სახურავი და ლითონკარკასის, შახტური ტიპის კიბე. რეზერვუარი ექსპლოატაციაშია 2007 წლიდან. მისი კედლები, ძირი და სახურავი დამზადებულია დაბალ ნახშირბადოვანი ფოლადის ფურცლებისაგან. რეზერვუარს გააჩნია სასუნთქი სარქველი (KDC - 1500). აღნიშნული რეზერვუარის, როგორც შიდა (კედლები, ძირი,


სახურავი) ისე გარე ზედაპირი (კედლები, სახურავი) დაცულია ორ კომპონენტანი ანტიკოროზიული საღებავით. შესანახი ნავთობპროდუქტის სახეობა - თეთრი ნავთობპროდუქტი, **JET A-1.**



სურ. 3.5.6 - #5 რეზერვუარის სქემა

3.5.7 რეზერვუარი #6


რეზერვუარის ნომინალური მოცულობა არის 200მ³. რეზერვუარის სიმაღლე - 5 770 მმ; რეზერვუარის დიამეტრი - 6 621.8 მმ; განთავსების ფორმა - მიწისზედა. რეზერვუარი არის ვერტიკალური ცილინდრული ფორმის და გააჩნია თვითმზიდი, კონუსური ფორმის სახურავი და გადასასვლელი ხიდურა კიბე. რეზერვუარი ექსპლოატაციაშია 2007 წლიდან. მისი კედლები, ძირი და სახურავი დამზადებულია დაბალ ნახშირბადოვანი ფოლადის ფურცლებისაგან. რეზერვუარს გააჩნია სასუნთქი სარქველი (KDC - 1500). აღნიშნული რეზერვუარის, როგორც შიდა (კედლები, ძირი, სახურავი) ისე გარე ზედაპირი (კედლები, სახურავი) დაცულია ორ კომპონენტანი ანტიკოროზიული საღებავით. შესანახი ნავთობპროდუქტის სახეობა - თეთრი ნავთობპროდუქტი, **JET A-1.**



სურ. 3.5.7 - #6 რეზერვუარის სქემა

3.5.8 რეზერვუარი #7

რეზერვუარის ნომინალური მოცულობა არის 2000მ³. რეზერვუარის სიმაღლე - 11 910 მმ; რეზერვუარის დიამეტრი - 15 200მმ; განთავსების ფორმა - მიწისზედა. რეზერვუარი არის ვერტიკალური ცილინდრული ფორმის და გააჩნია თვითმზიდი, კონუსური ფორმის სახურავი და ლითონკარკასის, შახტური ტიპის კიბე. რეზერვუარი ექსპლოატაციაშია 2007 წლიდან. მისი კედლები, ძირი და სახურავი დამზადებულია დაბალ ნახშირბადოვანი ფოლადის ფურცლებისაგან. რეზერვუარს გააჩნია მემბრანული სასუნთქი სარქველი. აღნიშნული რეზერვუარის, როგორც შიდა (კედლები, ძირი, სახურავი) ისე გარე ზედაპირი (კედლები, სახურავი) დაცულია ორ კომპონენტური ანტიკოროზიული საღებავით. შესანახი ნავთობპროდუქტის სახეობა - თეთრი ნავთობპროდუქტი, **TS - 1**.



სურ. 3.5.8 - #7 რეზერვუარის სქემა

3.6 პროექტით დაგეგმილი ცვლილების დეტალური აღწერა

შპს „პეტროკას ფიუელ სერვისიზ ჯორჯიას“ ნავთობტერმინალის ტერიტორიაზე განთავსებული არსებული რეზერვუარების მოცულობა შეადგენს 5500მ³-ს. კომპანიას ნებართვა გააჩნია სწორედ აღნიშნული რეზერვუარზე.

პროექტის შესაბამისად, დაგეგმილი ცვლილება, ნავთობტერმინალის ტერიტორიაზე განთავსებული რეზერვუარების მოცულობების შეცვლას, ახალი რეზერვუარების დამატებას ან/და ტექნოლოგიური პროცესის ცვლილებას, ასევე სხვა ინფრასტრუქტურულ და ტექნოლოგიურ ცვლილებებს არ ითვალისწინებს.

საწარმოს ექსპლოატაციის პირობების ცვლილება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ გაიზარდა საავიაციო ბაზარზე მოთხოვნა, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო საავიაციო საწვავზე მოთხოვნის გაზრდას. გამომდინარე აქედან და იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია საავიაციო საწვავით ემსახურება აეროპორტს, საჭირო გახდა ნავთობბაზის წლიური ტვირთბრუნვას გაზრდა, რაც იმას ნიშნავს, რომ წელიწადში 20 000 ტონა საწვავის ნაცვლად, კომპანიამ უახლოესი 5 წლის პერსპექტივაში შესაძლებელია მიიღოს და გასცეს წელიწადში 60 000 ტონა საწვავი.

საწარმოს ტვირთბრუნვის ზრდა არ გამოიწვევს საწარმოს ინფრასტრუქტურულ ცვლილებებს, აღნიშნული ზრდა განხორციელდება საწვავის შემოტანის სიხშირის ზრდის ხარჯზე.

3.7 სარეზერვუარო პარკის შემოზენივა

საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურულიდან და რეზერვუარების მედეგობიდან გამომდინარე ავარიული დაღვრების რისკები მინიმუმამდეა დაყვანილი. თუმცა, რეზერვუარების გარშემო მოწყობილია ბეტონის კედელი, რომელიც ყველაზე უფრო დიდი 2000მ³ მოცულობის მქონე რეზერვუარის ავარიული დაღვრის შემთხვევაშიც კი უზრუნველყოფს დაღვრილი ნავთობის დაჭერას.

სარეზერვუარო პარკის შემოზენივის სიგრძე შეადგენს 47 მეტრს, სიგანე 38 მეტრს, ხოლო სიღრმე სხვადასხვა ადგილას სხვადასხვაგვარია და მერყეობს 0,90სმ-დან 1,3 მეტრამდე.



სურ. 3.7 - რეზერვუარების გარშემო არსებული შემოზენივა

3.8 ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების დეტალური აღწერა

საწარმოს ტერიტორიაზე ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის მოწყობილია ხანძარსაწინააღმდეგო სატუმბო სადგური ქაფწარმომქმნელი სისტემით, ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულების უბნები, ტექნიკური წყლისთვის განკუთვნილი 12 ცალი სამარაგო რეზერვუარი (რომელიც გამოიყენება საჭიროების შემთხვევაში ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის) და მიწისქვეშა წყლის ჭაბურღილი წყლის რეზერვუარების შესავსებად.

საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ სარკინიგზო ესტაკადასთან 13 მეტრში განლაგებულია სახანძრო ჰიდრანტი. მისი ასეთი დაშორება ესტაკადასთან გათვლილია იმის გამო, რომ ხანძრის შემთხვევაში ჰიდრანტთან მიახლოება და მისი გამოყენება იყოს ხელმისაწვდომი. აღნიშნული დაშორება უზრუნველყოფს უსაფრთხო დისტანციას ხანძართან. ესტაკადასთან ასევე მოწყობილია ცეცხლმაქრები.



სურ.3.8.1 - სახანძრო ჰიდრანტი ესტაკადასთან ახლოს

გარდა ამისა, ობიექტის ტერიტორიაზე 5 სხვადასხვა ადგილზე მოწყობილია სახანძრო სტენდი, შესაბამისი აღჭურვილობით.



სურ. 3.8.2 - სახანძრო სტენდი #1



სურ. 3.8.3 - სახანძრო სტენდი #2



სურ. 3.8.4 - სახანძრო სტენდი #3



სურ. 3.8.5 - სახანძრო სტენდი #4



სურ. 3.8.6 - სახანძრო სტენდი #5

ობიექტს გააჩნია ხანძარსაწინააღმდეგო სატუმბო ოთახი, რომელიც ავტომატიზირებულია და აღჭურვილია შესაბამისი გაგრილების და ქაფწარმომქმნელი სისტემებით.

გარდა ამისა, რაიონის სახანძრო სამსახურს აღნიშნულ ტერიტორიაზე გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგი და პრაქტიკული სწავლება.



სურ. 3.8.7 - გაგრილების და ქაფწარმომქმნელი სისტემა



სურ. 3.8.8 - სახანძრო სატუმბი სადგური და წყლის სამარაგო ავზები

3.9 ინფორმაცია ხანძარსაწინააღმდეგო წყლების შესახებ

საწარმოს ტერიტორიაზე ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის მოწყობილია ტექნიკური წყლისთვის განკუთვნილი 12 ცალი 50მ³ მოცულობის მქონე სამარაგო რეზერვუარი, რომელიც გამოიყენება ტექნიკური წყლის სამარაგოდ, საჭიროების შემთხვევაში ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის. აღნიშნული რეზერვუარების წყლით შევსება ხდება ობიექტის ტერიტორიაზე არსებული მიწისქვეშა წყლის ლიცენზირებული ჭაბურღილიდან.

ამ დრომდე, სახანძრო სიტუაციების არსებობას ობიექტის ტერიტორიაზე ადგილი არ ქონია. ხანძრის არსებობის და ხანძარქრობის შემთხვევაში, ხანძარქრობისთვის გამოყენებული წყლის ჩაშვება მოხდება ობიექტზე არსებულ ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობაში გასაწმენდად.

3.10 ობიექტის წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლები

3.10.1 ობიექტის ტექნიკური წყლით მომარაგება

საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია 12 ცალი 50მ³ მოცულობის მქონე, ტექნიკური წყლისთვის განკუთვნილი რეზერვუარი, რომლის შევსებაც ხორციელდება ტერიტორიაზე არსებული

ჭაბურღილიდან. აღნიშნული რეზერვუარები გამოიყენება სამარაგოდ, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებული იქნეს, როგორც ხანძარქრობისთვის, ასევე სხვა ტექნიკური საჭიროებებისთვის.

ჭაბურღილი, საიდანაც ხდება რეზერვუარების შევსება, ლიცენზირებულია. კომპანიას, აღნიშნულ ჭაბურღილზე გააჩნია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების #10000688 ლიცენზია გაცემული სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ 2019 წლის 15 აპრილს, რომელიც კომპანიას გადაეცა სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასგან“ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 15 აპრილის #517/ს ბრძანების საფუძველზე.

3.10.2 ობიექტის სასმელ-სამეურნეო წყლით მომარაგება

ობიექტის, კერძოდ კი ობიექტზე არსებული ადმინისტრაციული შენობის სასმელ-სამეურნეო წყლით მომარაგება ხდება თბილისის კომუნალური სამსახურიდან, მათთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. თუმცა გარდა ამისა, ობიექტზე სასმელი წყლის შემოტანა ხორციელდება ბუტილიზირებული სახით.

3.11 საკანალიზაციო, სანიაღვრე და ნავთობპროდუქტებიანი წყლების მართვა

3.11.1 სამეურნეო-ფეკალური წყლების, ასევე სარეზერვუარო პარკის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე და საწარმოო წყლების მართვის საკითხები

ობიექტზე არსებული ადმინისტრაციული შენობის საკანალიზაციო წყლების ჩაშვება ხდება ქალაქის საკანალიზაციო ქსელში.

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოო ობიექტის ტერიტორიაზე არსებულ სარეზერვუარო პარკს გააჩნია ბეტონის შემოზვინვა, სადაც შესაძლებელია როგორც სანიაღვრე, ასევე რეზერვუარების რეცხვისას წარმოქმნილი საწარმოო წყლების დაგროვება. სარეზერვუარო პარკის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე და საწარმოო წყლების გამწმენდა ხორციელდება ობიექტის ტერიტორიაზე მოწყობილ ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობაში. გასაწმენდი წყლის გადასვლა გამწმენდ ნაგებობაში ხდება მილის საშუალებით. გამწმენდ ნაგებობაში გაწმენდილი წყლის ჩაშვება ხდება ქალაქის საკანალიზაციო ქსელში მათთან არსებული შეთანხმების შესაბამისად. გამწმენდ ნაგებობაში დაგროვილი შლამის გატანა ხდება პერიოდულად, შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციის მიერ, მათთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ კომპანია ყოველკვარტალურად ატარებს ჩამდინარე წყლის მონიტორინგს და ჩატარებული კვლევის თანახმად ჩამდინარე წყლის ხარისხი ნორმის ფარგლებშია. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია 2020 წლის მონიტორინგის ანგარიშში, რომელიც დანართის სახით თან ერთვის წინამდებარე დოკუმენტს.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ობიექტის ტერიტორიაზე მოწყობილია ლოკალური სალექარები, საიდანაც ამოღებული მასების გატანა ხდება ნებართვის მქონე კომპანიის მიერ, რომელთანაც კომპანიას გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება.

იმ შემთხვევაში, თუ სალექარში მოხდა დიდი რაოდენობით წყლის შერევა, მისი ამოღება ხდება სპეციალური ვაკუუმიანი მანქანის საშუალებით (პიტ ქლინერი). ამოღებული წყალი იწმინდება გამწმენდ ნაგებობაში. გამწმენდ ნაგებობაში გაწმენდილი წყლის ჩაშვება ხდება საკანალიზაციო ქსელში, ხოლო დარჩენილი ცხიმები ასევე გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას.

ამასთან, სარეზერვუარო პარკში ტექნოლოგიური მილგაყვანილობიდან შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების მართვა ასევე განხორციელდება გამწმენდი ნაგებობის მეშვეობით. ამ დრომდე ობიექტზე მსგავს შემთხვევას ადგილი არ ქონია

საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე ჩამდინარე წყლების რაოდენობის გამოსათვლელად გათვალისწინებული იქნა ის გარემოება, რომ როგორც ავლნიშნეთ, საწარმოს განთავსების ნაკვეთი წარმოდგენილია არსებული შენობა-ნაგებობებით, ნარჩენების განთავსების უბნით, სატუმბი სადგურით, სახანძრო სისტემისთვის გამოყოფილი ოთახით და ა.შ. მიწის ნაკვეთის ტერიტორია შეადგენს 18 121კვ.მ-ს. თუმცა აქედან დაახლოებით 4000 კვადრატული დაკავებული აქვს შენობა-ნაგებობებს. შესაბამისად ატმოსფერული ნალექების წარმოქმნა მოსალოდნელია დაახლოებით 14 000 მ2 ფართობზე. აღნიშნულ ფართობზე მოსული ატმოსფერული ნალექები შეგროვდება და გაიწმინდება საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულ სალექარში. შეგროვებას დაქვემდებარებული სანიაღვრე წყლების რაოდენობის გაანგარიშება ხდება ფორმულით:

$$Q=10 \times F \times H \times K$$

სადაც:

Q - არის სანიაღვრე წყლების მოცულობა მ³/დღ.

F - საწარმოს ტერიტორიის ის ფართობი, სადაც მოხდება სანიაღვრე წყლების შეგროვება (ჰექტარში).

მოცემული საწარმოსთვის აღნიშნული ფართობი 14000 მ²-ია ანუ, 0,14 ჰა;

H - ნალექების რაოდენობაა და მიღებულია სამშენებლო ნორმების და წესების „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (პნ 01.05-08) მიხედვით, კერძოდ: თბილისის, კერძოდ აეროპორტის მონაცემების მიხედვით ნალექების მაქსიმალური რაოდენობა მიღებულია 540 მმ/წელ. ნალექების დღე-ღამური მაქსიმუმი შეადგენს 145 მმ. წვიმის საათური მაქსიმუმი იქნება - 5 მმ.

K - კოეფიციენტი, რომელიც დამოკიდებულია საფარის ტიპზე და მოცემულ შემთხვევაში შეადგენს 0,09.



აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოში წარმოქმნილი სანიღვრე ჩამდინარე წყლების რაოდენობა იქნება:

$$Q_{\text{წელ}} = 5 \times 1,4 \times 540 \times 0,09 = 340,2 \text{ მ}^3/\text{წელ.}$$

3.11.2 ჩამდინარე წყლების გაწმენდა, გამწმენდი მოწყობილობის აღწერა

როგორც უკვე აღინიშნა, ობიექტის ტერიტორიაზე მოწყობილია ჩამდინარე წყლების გაწმენდისთვის გერმანული წარმოების **PECOFacet**-ის ფირმის (**MAS 13.1** მოდელი) 6 ლ/წმ წარმადობის მქონე ნავთობდამჭერი დანადგარი, რომელიც შექმნილია სპეციალურად ნახშირწყალბადიანი წყლის გასაწმენდად. აღნიშნული წარმოადგენს რკინა-ბეტონის ნაგებობას, რომელიც დაფარულია თუჯის ზედაპირით. აღნიშნული გამწმენდი ნაგებობის ტექნიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე მაქსიმალურად უზრუნველყოფილია ნავთობის მოცილების პროცესი. მას არ გააჩნია მობილური მოწყობილობები, არ საჭიროებს სახარჯი მასალების გამოყენებას, ტექნიკურად მარტივი მოსავლელია და მისი ექსპლოატაცია შეფერხებების გარეშე მიმდინარეობს. ნაგებობას შიდა მხრიდან გააჩნია მოდულარულ პაკეტებში განთავსებული ფირფიტები, რომლის მეშვეობითაც ხდება ნავთობის დაჭერა და ნავთობიდან გამოცალკევებული სუფთა წყლის, ნაგებობის შესაბამის რეზერვუარში გადასვლა. ნაგებობის შიდა ოპტიმალური ტემპერატურა მერყეობს 4-დან 98^o-მდე. ნავთობიანი შლამი, რომელიც გამოეყოფა წყალს გროვდება ზედაპირზე და რჩება ნავთობის ავზში, საიდანაც პერიოდულად ხდება ამოღება და გატანა სახიფათო ნარჩენების გატანა-გადამუშავებაზე ნებართვის მქონე ორგანიზაციის მიერ. გამწმენდ ნაგებობაში გაწმენდილი წყლის ჩაშვება ხდება ქალაქის საკანალიზაციო ქსელში. ჩამდინარე წყლების ხარისხზე დაწესებულია პერიოდული მონიტორინგის სისტემა. (იხ. დანართი - მონიტორინგის შედეგები).

გამწმენდი ნაგებობა აღჭურვილია გარე და შიდა შემშვები სისტემით, გამწოვი სისტემით, ჭით, ავტომატური დახურვის მოწყობილობით, გამომსვლელით და ნავთობის დონის კონტროლის მექანიზმით. შუმავალი და გამავალი მილების დიამეტრი შეადგენს 150მმ-ს.



ITEM	DESCRIPTION
1	Inlet
2	Inlet chamber
3	PECOFacet MPak®
4	Vent
5	Cover
6	Manhole
7	Outlet chamber
8	Automatic closure device
9	Outlet
10	Oil level probe (optional)

სურ. 3.11.2 - ნავთობპროდუქტებიანი წყლის სეპარატორის სქემატური ნახაზები

3.12 გამწმენდ მოწყობილობაში წარმოიქმნილი ნარჩენების მართვა

გამწმენდ მოწყობილობაში წარმოიქმნება ნავთობიანი შლამი, რომელიც გამოეყოფა წყალს, გროვდება ზედაპირზე და გადადის ნავთობის ავზში, საიდანაც პერიოდულად ხდება ამოღება და გატანა სახიფათო ნარჩენების გატანა-გადამუშავებაზე ნებართვის მქონე ორგანიზაციის მიერ. გამწმენდ ნაგებობაში გაწმენდილი წყლის ჩაშვება ხდება ქალაქის საკანალიზაციო ქსელში. ჩამდინარე წყლების ხარისხზე დაწესებულია პერიოდული მონიტორინგის სისტემა.


3.13 ნავთობბაზაზე მისასვლელი გზა

ობიექტამდე მისასვლელი გზა ასევე წარმოადგენს თბილისის საერთაშორისო აეროპორტამდე მისასვლელ მთავარ გზას. ობიექტის ექსპლოატაციის პროცესში მისასვლელი გზების მოწყობა გათვალისწინებული არ არის

3.14 ობიექტის ექსპლოატაციის ეტაპზე დასაქმებული ადამიანების რაოდენობა და ობიექტის სამუშაო გრაფიკი

ამ ეტაპზე, ობიექტის ექსპლოატაციის პროცესში დასაქმებულია სულ 30 ადამიანი. ობიექტის სამუშაო რეჟიმი არის 24 საათიანი, შესაბამისი ცვლებით.

4. დანართი 1 - საწარმოო ობიექტის გენ გეგმა



*წითელ ფრად მონიშნულია საბიჯათო ნარჩენების განთავსების უბანი და სასწყობო ოთახი

5. დანართი 2 - საწარმოს განლაგების სიტუაციური რუკა-სქემა

